# ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა და კონფერენცია

## „ქართული ხელნაწერი“

10-20 ივლისი, 2019
თბილისი, საქართველო

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი და ლუვენის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ინსტიტუტი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „ქართული ხელნაწერი“ მონაწილეთა შესარჩევად.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს აქვს ქართველოლოგიის საერთაშორისო სკოლების ჩატარების ექვსწლიანი წარმატებული გამოცდილება. ცენტრის სტატუსი, მისი ავტორიტეტი და სკოლის თემატიკა განაპირობებს სკოლის მიმართ დიდ ინტერესსა და აპლიკანტთა აქტივობას.

2019 წელს გათვალისწინებულია საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის განხორციელება, რომელიც ორ ღონისძიებას მოიცავს - ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლას და სამეცნიერო კონფერენციას „ქართული ხელნაწერი“. შესაბამისად პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება.

**პირველ ეტაპზე ცხადდება მიღება საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში,** რომლის მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული ხალნაწერის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ქართველ სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს, რომელთა სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ძირითად სამეცნიერო-კვლევით მიმართულებებს (კლასიკური ან ძველი ქართული ფილოლოგია, წყაროთმცოდნეობა, არქივთმცოდნეობა, ხელნაწერი წიგნის კულტურა, რესტავრაცია, დიგიტალიზაცია, და სხვ.), დაზუსტებით:

- მაგისტრანტებს;
- მაგისტრებს;
- დოქტორანტებს;
- დოქტორებს (ხარისხი დაცული აქვთ ბოლო 7 წლის განმავლობაში).

საზაფხულო სკოლის ლოგიკური გაგრძელებაა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართული ხელნაწერი“ (პროექტის მეორე ეტაპი), რომელიც ხელს შეუწყობს ქართული და უცხოენოვანი ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლის სფეროში აკუმულირებული ცოდნის შეჯამებას, აქტუალური საკითხების წინ წამოწევას, სამომავლო კვლევითი პერსპექტივების დასახვას. სამეცნიერო კონფერენციაზე დაგეგმილია ერთი პლენარული სხდომა და სამი სექცია შემდეგი მიმართულებების შესაბამისად:

- აღმოსავლური ქრისტიანული ხელნაწერების კოდიკოლოგია, ტექსტოლოგია, წიგნის ხელოვნება;

- ხელნაწერი მემკვიდრეობის კატალოგიზაცია, ბაზები და დიგიტალიზაცია;
- სამეცნიერო პროექტების პრეზენტაციები.

**სამეცნიერო ფორუმის „ქართული ხელნაწერი“ განხორციელება გათვალისწინებულია 2019 წლის 10-20 ივლისს თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.**

სკოლისა და კონფერენციის სამუშაო ენა არის ინგლისური. ლექციებისა და სხვა აქტივობების ჩატარება უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანით. დაგეგმილია კონფერენციის თეზისების ბეჭდვა, კონფერენციის მოხსენებების ელექტრონული კრებულის გამოცემა.

*პროექტი უზრუნველყოფს მსმენელების დაბინავებას, კვებას, შიდა ტრანსპორტირებასა და ექსკურსიებს, აკადემიურ პროგრამას;* არ ანაზღაურებს თბილისში მსმენელების მგზავრობის ხარჯს.

**საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის მსურველებმა 2018 წლის 15 დეკემბრამდე** უნდა გამოაგზავნონ შევსებული **სააპლიკაციო ფორმა** (იხ. თანდართული ფაილი) შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: summerschool@manuscript.ac.ge

შერჩეულ კანდიდატებს ეცნობებათ არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით საკონტაქტო პირს ქვემოთ მითითებულ ტელეფონზე ან ელექტრონულ მისამართზე.

პატივისცემით,

საზაფხულო სკოლის გუნდი
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
E-mail: summerschool@manuscript.ac.ge

საკონტაქტო პირი:
დოქტ. ირინა გოგონაია
პროექტის კოორდინატორი

სამეცნიერო თანამშრომლობისა და პროექტების
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
ტელ.: 577 79 54 54
E-mail: irinagogonaia@manuscript.ac.ge

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მ. ალექსიძის 1/3
0193, თბილისი, საქართველო
www.manuscript.ge
info@manuscript.ac.ge